ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია

ერეკლე გაფრინდაშვილი

ბრაზილიის მოსახლეობის გეოგრაფია

ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე

თბილისი, 2022 წელი

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 4

1. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა 5

2. მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა 11

3. დემოგრაფიული პოლიტიკა და მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება 15

4. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დახასიათება 17

5. მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები 20

6. მოსახლეობის დასაქმება 24

7. მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა 25

8. ქვეყნის ეთნოლინგვისტური შემადგენლობის ზოგადი დახასიათება 27

9. მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა 30

10. ურბანიზაცია, განსახლება და მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება 31

გამოყენებული ლიტერატურა 35

ანოტაცია

მოცემული ნაშრომის მიზანია ბრაზილიის მოსახლეობის სივრცე-დროითი თავისებურებების შესწავლა და მისი გაანალიზება. კოლონიალიზმის ეპოქიდან მოყოლებული დღემდე ბრაზილიამ საკმაოდ რთული, თუმცა საინტერესო ეპოქა განვლო. სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე იცვლებოდა მისი, როგორც მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი, ისე რასობრივი, ენობრივი, თუ რელიგიური შემადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილია ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნების რიცხვში შედის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მსოფლიოში მაინც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გავლენის მქონე ქვეყანაა. ბრაზილიას მსოფლიოს ქვეყნებს შორის ერთ-ერი წამყვანი პოზიცია უკავია როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე ტერიტორიის ფართობის მიხედვით. ასევე საკმაოდ საინტერესო განვითარების თავისებურებები ახასიათებს მის ეკონომიკასაც. აღსანიშნავია რომ სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით იგი განვითარებული ქვეყნების გვერდით დგას და რიგ შემთხვევებში უსწრებს კიდეც მათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას არც თუ ისე ბევრი ნაბიჯი აშორებს, რათა ადგილი განვითარებული ქვეყნების რიგში დაიმკვიდროს. ეს ყოველივე მისი მოსახლეობის გეოგრაფიის შესწავლას კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენს და საინტერესოა იმ მხრივ, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური თუ სხვა სახის სტატსიტიკური მაჩვენებლები საკმაოდ სწრაფად იცვლება და უფრო და უფრო უახლოვდება განვითარებულ ქვეყნებს. შესაბამისად, ვფიქრობ, საინტერესო იქნება როგორც მისი მოსახლეობის დინამიკის, ისე სქესოსბრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, მექანიკური მოძრაობის, მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, ურბანიზაციისა და სხვა მაჩვენებლების

შესწავლა. იმისათვის, რომ ეს ყოველივე უფრო თვალსაჩინო გახდეს, გამოვიყენებ როგორც შედარებითი ანალიზის მეთოდს, ისე სხვადასხვა საილუსტრაციო მასალას (რუკებს, სქემებს, დიაგრამებს), რაც კიდევ უფრო უკეთ წარმოაჩენს, თუ რა ადგილი უკავია ბრაზილიას მსოფლიოში სხვადასხვა მონაცემის მიხედვით.

შესავალი

ბრაზილია მდებარეობს სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ლათინური ამერიკის რეგიონის შემადგენლობაში შედის და წარმოადგენს აღნიშნული რეგიონის უდიდეს ქვეყანას. მსოფლიოში კი ტერიტორიის სიდიდის მიხედვით მე-5 ადგილს იკავებს. ბრაზილიის ფართობი 8,515,770 კვ.კმ-ია. [1]ტერიტორიის დიდი ფართობისა და როგორც სანაპირო, ისე საკმაოდ გრძელი სახმელეთო საზღვრის გამო, იგი სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყანას ესაზღვრება ჩილესა და ეკვადორის გარდა. ხოლო აღმოსავლეთით მას გასასვლელი აქვს ატლანტის ოკეანეზე. სამხრეთიდან მას ურუგვაია, სამხრეთ-დასავლეთიდან- არგენტინა, პარაგვაი და ბოლივია, დასავლეთიდან პერუ, ჩრდილო-დასავლეთიდან კოლუმბია, ჩრდილოეთიდან კი ვენესუელა, გაიანა, სურინამი და საფრანგეთის გვინეა ესაზღვრება. რაც შეეხება ბრაზილიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, თუკი გაეროს კლასიფიკაციას დავეყრდნობით, იგი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების

[1] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

კატეგორიაში შედის, ხოლო მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით- საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების რიცხვშია. [2][3]

1. მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა

ბრაზილია მსოფლიოში არამხოლოდ ტერიტორიის ფართობით, არამედ მოსახლეობის რაოდენობითაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვეყანაა. ბოლო მონაცემებით მისი მოსახლეობა 217,240,060 ადამიანს შეადგენს. ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში მე-6, ხოლო ლათინურ-ამერიკაში პირველ ადგილზეა. [4] აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის მოსახლეობა მთლიანად სამხრეთ ამერიკის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენს (სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა 437,603,129 ადამიანს უდრის). [5] ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ეს მაჩვენებელიც ნათლად ასახავს იმას, თუ რა მასშტაბის ქვეყანაა იგი როგორც რეგიონის, ისე მსოფლიო დონეზე.

საინტერესოა, თუ როგორი იყო ბრაზილიის მოსახლეობის დინამიკა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. ამიტომ ამ ქვეთავში შევეცდები განვიხილო, თუ როგორ იცვლებოდა ბრაზილის მოსახლეობის რაოდენობა 1980-იანი წლებიდან დღემდე და ასევე რა ტენდენციებით ხასიათდება იგივე დღევანდელ ეპოქაში. მართალია,

---

[2] World economic situation prospects (2020). United Nations. https://www.un.org/development/desa/dpad/wp-content/uploads/sites/45/WESP2020_Annex.pdf

[3] World Bank Country and Lending Groups. https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/906519-world-bank-country-and-lending-groups

[4] The world factbook (2022). Country comparison-population. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/population/country-comparison

[5] South America Population (2022). https://www.worldometers.info/world-population/south-america-population/#:~:text=The%20current%20population%20of%20South,among%20subregions%20ranked%20by%20Population.

ძირითად აქცენტს ბოლო 40 წლის განმავლობაში არსებულ დინამიკაზე გავაკეთებ, თუმცა დასაწყისში ასევე მსურს, შევეხო შედარებით უფრო ადრინდელ მონაცემებსაც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს ის ტენდენციები, რამაც ბრაზილიის მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილება განაპირობა ისტორიის მანძილზე. შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიის მოსახლეობის შედარებით უფრო სწრაფი და საგრძნობი ზრდა 1950-იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდის განმავლობაში ბრაზილიის მოსახლეობა 70 მილიონიდან 215 მილიონამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ისტორიის განმავლობაში ბრაზილიის მოსახლეობის ყველაზე სწრაფი ზრდა 1962 წელს დაფიქსირდა (ამ წელს ბრაზილიის მოსახლეობა 2.96%-ით გაიზარდა). [6]თუმცა ეს არ იყო დემოგრაფიული აფეთქება მხოლოდ ბრაზილიის შემთხვევაში. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ძალიან სწრაფი ტემპით იმატებს მოსახლეობა მთელ ლათინურ ამერიკაში. მართლაც, ლათინურ ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში მოსახლეობის რაოდენობის საშუალო წლიური მატების ისტორიული მაქსიმუმი სწორედ 1960-65 წლებში დაფიქსირდა (ამ პერიოდში მთელი რეგიონის საშუალოწლიური ზრდა 2.8%-ს აღწევდა). ეს გამოწვეული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ როგორც მსოფლიოში, ისე ლათინურ ამერიკის რეგიონში შედარებით უფრო მშვიდი და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებით, რაც ასევე ეკონომიკურ ზრდაშიც აისახა. მაგალითად, ბრაზილიაში 1960-1970 წწ-ში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 35%-ით გაოზარდა.[7] ამან ხელი შეუწყო ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, სამედიცინო ხელმისაწვდომობის ზრდას, რამაც საბოლოოდ სიკვდილიანობის საგრძნობი

[6] Population growth in Brazil. https://www.worlddata.info/america/brazil/populationgrowth.php#:~:text=From%201960%20to%202020%20the,increase%20in%202020%20with%200.72%25.

[7] Population and economic development in Latin America. https://www.jstor.org/stable/45132160?read-now=1&seq=6%22seq=6

შემცირება განაპირობა. საბოლოო ჯამში, 1950-1980 წლებში ბრაზილიის მოსახლეობა 54-დან 122 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო მთლიანად ლათინური ამერიკის 167-დან 361-მდე.[8] 1980 წლიდან კი უკვე როგორც ბრაზილიაში, ისე მთლიანად ლათინური ამერიკის რეგიონში იწყება მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ტემპის თანდათანობით დაღმასვლა. განსაკუთრებით საინტერესოა ეს ტენდენცია ბრაზილიის შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ 1980 წლიდან მოყოლებული დღემდე ბრაზილიის მოსახლეობის რაოდენობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი უფრო და უფრო იკლებს (მაგალითად 1974-დან 1979 წლის ჩათვლით ბრაზილიის მოსახლეობის საშულო წლიური მატება სტაბილურად 2.4%-ს შეადგენდა, 1980 წლის შემდგომ კი ყოველწლიურად ეს მონაცემი მინიმუმ 0.1%-ით იკლებს). მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის განმავლობაში ბრაზილიის მოსახლეობა მაინც საკმაოდ გაიზარდა. მაგალითად 1980-1990 წლებში მან 120.7 მილიონიდან 149 მილიონამდე მოიმატა. ანუ ამ წლებში მოსახლეობის მთლიანი მატების მაჩვენებელი 23.5% იყო, ხოლო საშუალო წლიური მატების - 2% (რაც იმას ნიშნავს, რომ 1980-1990 წლების განმავლობაში ბრაზილიის მოსახლეობა ყოველწლიურად საშუალოდ 2%-ით იზრდებოდა). აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა 2010-2020 წლებში. ამ პერიოდის მანძილზე ბრაზილიის მოსახლეობა 195.7 მილიონიდან 212.6 მილიონამდე გაიზარდა. შესაბამისად მთლიანი მატების მაჩვენებელი 8.6% იყო, რაც თითქმის სამჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე 1980-1990 წლებში. რაც შეეხება საშუალო წლიური მატების ტემპს, იგი აღნიშნული წლების განმავლობაში (2010-2020წწ) 0.8%-მდე დაეცა. ცხადია, პირველ რიგში, ეს განპირობებული იყო შობადობის მაჩვენებლის მკვეთრი კლებით.

[8] World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

ბრაზილიაში ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან გამოიკვეთა შობადობის მაჩვენებლის კლების ტენდენცია, ხოლო 1980-იანი წლებიდან ამ პროცესმა, ასე ვთქვათ, კიდევ უფრო შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მაგალითად თუკი 1980-1985 წლებში შობადობის მაჩვენებლი 30.9‰-ს შეადგენდა, 2015-2020 წლებში იგი ფაქტობრივად განახევრდა და 14.1‰-მდე დაეცა. [9] ცხადია, ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, თუმცა შევეცდები იმ ძირითად მიზეზებს შევეხო, რის გამოც შობადობის მაჩვენებლის ასეთი საგრძნობი ვარდნა დაფიქსირდა. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან ბრაზილიაში დაიწყო ეკონომიკური სტაგნაცია და პროდუქტებზე ფასების საგრძნობი ზრდა, რამაც ქვეყანაში ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გააუარესა. შესაბამისად მცირე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის მრავალშვილიანი ოჯახის შენახვა დიდ სირთულეებთან ასოცირდებოდა. მართალია, დადებითი კორელაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და შობადობის მაჩვენებელს შორის იშვიათია (როგორც წესი, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა ეკონომიკურად, მით უფრო დაბალი შობადობის დონით ხასიათდება იგი, ხოლო მაღალი შობადობა კი, დიდწილად, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები გამოირჩევიან, სადაც არც თუ ისე სახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური პირობებია), თუმცა რიგ შემთხვევებში არასათანადო ეკონომიკური პირობები მართლაც ხდება დაბალი შობადობის გამომწვევი მიზეზი. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ მაჩვენებელზე ძალიან ბევრი ფაქტორი ზემოქმედებს, რის გამოც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონესა და შობადობის დონეს შორის კავშირი, შესაძლოა, სხვადასხვა ქვეყანაში (და ამავდროულად სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში) განსხვავებული ხასიათის იყოს.

[9] World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

მაგალითად, თუ ეთიოპიაში ადამიანებისთვის დაბალი შემოსავალი და ეკონომიკური სიდუხჭირე არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ ფაქტორს, რათა ბევრი შვილი იყოლიონ, საქართველოში ეს ყოველივე პირიქითაა. ბევრი ქართული ოჯახი სწორედ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო იკავებს თავს მრავალშვილიანობისგან, რადგან ეშინიათ, რომ მათ შესაბამის პირობებს ვერ შეუქმნიან (ცხადია, არის გამონაკლისებიც, თუმცა საერთო სურათი ასეთია). ბრაზილიის შემთხვევაშიც ფასებზე პროდუქტების ზრდამ და ეკონომიკურმა სტაგნაციამ ნამდვილად შეუქმნა საფუძველი შობადობის მაჩვენებლის ვარდნას. მეორე ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უბრანიზაციის ზრდა და ქალების ჩართულობის მატება საზოგადოებრივ წარმოებაში. ზოგადა, ქალთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა შობადობის მაჩვენებელზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს. როგორც წესი, იმ ოჯახებს, სადაც მამაკაციც და ქალიც დასაქმებულია, მრავალშვილიანობა არ ახასიათებთ.[10] რაც შეეხება სიკვდილიანობას, უკვე მრავალი ათეული წელია, რაც ეს მაჩვენებელი ბრაზილიაში უფრო და უფრო იკლებს (თუმცა 2010 წლიდან კვლავ მცირე მატების ტენდენცია შეინიშნება) 1980-1985 წლებში სიკვდილიანობის დონე 8.1‰-ს უდრიდა, ხოლო 2015-2020 წლებში კი 6.4‰-მდე დაეცა (უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დაბალი ნიშნული 2005-2010 წლებში აღინიშნებოდა, როცა სიკვდილიანობა 6‰-მდე დაეცა). ამის ძირითადი მიზეზი იყო სამედიცნო მომსახურების დონის ამაღლება და ფარმაცევტული ნაწარმის ფართო გავრცელება. აგრეთვე მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური და კვების პირობების გაუმჯობესება. საბოლოო ჯამში ბუნებრივმა მოძრაობამ 2015-2020 წლებში 7.7‰ შეადგინა, რაც, შეიძლება ითქვას, რომ დაბალი მაჩვენებლია, თუკი ლათინური

[10] Characterization of Fertility Levels in Brazil, 1970–2010. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/working_papers/WR1000/WR1091/RAND_WR1091.pdf?fbclid=IwAR1VeF6w5nH2Y7anymV4zdcOIU582qmr6ZFJOF6zgKMzQQc_CmErIVm-X7I

ამერიკის ქვეყნების მაჩვენებლებთან გავავლებთ პარალელს. აღნიშნულ წლებში მთლიანად ლათინური ამერიკის რეგიონის ბუნებრივი მოძრაობა 10.2‰-ს უდრიდა. მაგალითად, არგენტინაში ეს მაჩვენებელი 9.5‰ იყო, მექსიკაში კი 11.7‰.[11]

აუცილებლად უნდა აღინიშნოს Covid 19-ის გავლენა ბრაზილიის სიკვდილიანობის დონის მატებაზე 2020-2020 წლებში. როგორც უკვე ვთქვით, 2015-2020 წლებში სიკვდილიანობის დონე 6.4‰-ს შეადგენდა, ხოლო ბოლო 2 წლის განმავლობაში 6.8‰-მდე გაიზარდა.[12] სამწუხაროდ, ამაში დიდი როლი სწორედ Covid 19-ის პანდემიამ ითამაშა. Covid 19-ით გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვით ბრაზილია მსოფლიოში მე-2 ადგილს იკავებს აშშ-ს შემდეგ. პანდემიის დაწყებიდან დღემდე აქ 669 612 ადამიანი გარდაიცვალა, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. აქედან გამომდინარე, ბრაზილია იმ ქვეყნების რიცხვში შედის, რომლებიც Covid 19-მა ყველაზე მეტად დააზარალა. [13]

მე-20 საუკუნის ბოლო წლებში დაწყებულმა ძირეულმა ცვილებებმა, რომელიც შეეხებოდა ურბანიზაციის ზრდას, ქალთა ხელმისაწვდომობას განათლებასა და სამუშაო ადგილებზე, ასევე კონტრაცეპტივებზე გაზრდილ ხელმისაწვდომობასა და სხვა ფაქტორებს, საბოლოო ჯამში ბრაზილიის დემოგრაფიული გადასვლის მე-3 ფაზიდან მე-4 ფაზაში გადასვლა უზრუნველყო. ვფიქრობ, საკამათო საკითხია თუ სად იმყოფება იგი დღეს, თუმცა ფაქტია, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე ბრაზილია დემოგრაფიული გადასვლის მე-3 ფაზაში იყო, დღეს კი მისი დემოგრაფიული სურათი

[11] World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

[12] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

[13] Reported Cases and Deaths by Country or Territory. https://www.worldometers.info/coronavirus/

მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. თუკი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალი იყო, დღეს უკვე აღნიშნული მაჩვენებლით ბრაზილია მე-4 ფაზას უახლოვდება, რომლისთვისაც შობადობის დაბალი დონე და შესაბამისად მოსახლეობის რაოდენობის ზრდის დაბალი ტემპია დამახასიათებელი. დღევანდელი სურათით, ვფიქრობ, ბრაზილია მე-4 ფაზის მიჯნაზე იმყოფება და რამდენიმე წელიწადში იგი ნამდვილად დადგება იმ ქვეყნების გვერდით, რომლებიც დემოგრაფიული გადასვლის მე-4 ფაზაში იმყოფებიან. [14]

2. მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა

თუკი ბრაზილიის მიგრაციის ისტორიას გადავავლებთ თვალს, იგი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიგრანტთა მიმღები ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა. XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც პორტუგალიელებმა ბრაზილია საკუთარ კოლონიად აქციეს, აქ მხოლოდ დაახლოებით 2.4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა (აღნიშნული ტერიტორია ძირითადად ინდიელებით იყო დასახლებული). [15] ამის შემდგომ პორტუგალიელებმა დაიწყეს ადამიანების გადმოსახლება ძირითადად პორტუგალიიდან და აფრიკიდან. საქმე ისაა, რომ მათ ბრაზილიაში დაარსეს მსხვილი პლანტატორული მეურნეობები, რომლებსაც სჭირდებოდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მუშახელი. ამის გამო მათ აფრიკიდან ძალიან ბევრი ადამიანი გადმოასახლეს მე-16 საუკუნის შუა ხანებში (მე-16 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე ჯამში პორტუგალიელებმა 4 მილიონამდე ადამიანი გადმოასახლეს აფრიკიდან, პორტუგალიელების რიცხვი კი

[14] გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.20

[15] The Phylogeography of Brazilian Y-Chromosome Lineages. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1234928/

დაახლოებით 700 000 შეადგენდა).[16] თუმცა განსაკუთრებით მასშტაბური სახე მიგრაციულმა ნაკადებმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო (მაშინ, როცა უკვე ბრაზილია დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო). მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მასიური ხასიათ მიიღო ბრაზილიაში იტალიელების იმიგრაციამ. ამ ხსნის განმავლობაში დაახლოებით 800 000 იტალიელი გადმოსახლდა ბრაზილიაში. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში აღსანიშნავია იაპონელების იმიგრაციაც, რომელთა რიცხვმაც ჯამში 200 000 ადამიანს შეადგინა. 1950-იან წლებში ბრაზილიის მთავრობის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ, რომელიც იმიგრანტებს საშუალებას აძლევდა დასაქმებულიყვნენ სამრეწველო საწარმოებში, სული შთაბერა ახალ მიგრაციულ ნაკადებს მსოფლიოს (განსაკუთრებით ევროპის) სხვადასხვა ქვეყნიდან. ძირითადად მიგრაციული ნაკადები მიემართებოდა ბრაზილიის მსხვილი ქალაქებისკენ. მაგალითად, სან-პაულუში 1957-1961 წლებში ესპანელი მიგრანტების 30%, იტალიელების 50%, ხოლო ბერძნების 70% სწორედ ქარხნებში იყო დასაქმებული.[17] სრულიად განსხვავებული სურათი იკვეთება 1970-იანი წლებიდან, როცა მიგრაციის სალდომ საგრძნობლად დაიკლო და ნულს გაუტოლდა. თუკი გაეროს მონაცემებს დავეყრდნობით, მთელი ამ ხნის განმავლობაში 2015-2020 წლებამდე მიგრაციის სალდო 0-ის ტოლი იყო. 2015-2020 წლებში კი მხოლოდ 0.1%o-მდე გაიზარდა. ამას სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა.[18] პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 1980-იან წლებში

[16] Instituto Brasileiro de Geografia e Estatística. https://www.ibge.gov.br/en/home-eng.html

[17] Immigration policy, Laws and Regulations. https://books.google.ge/books?id=5HCuBgAAQBAJ&pg=PA44&lpg=PA44&dq=In+the+1950s,+Brazil+started+a+program+of+immigration+to+provide+workers+for+Brazilian+industries.+In+S%C3%A3o+Paulo

[18] World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

ბრაზილია საკმაოდ მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც უკვე ზემოთაც აღვნიშნე. ამან, ერთი მხრივ, შეამცირა იმიგრანტების რაოდენობა და, მეორე მხრივ, გაზარდა ემიგრანტების რაოდენობა. ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1970-1980-იანი წლებიდან ბრაზილია თანდათანობით კარგავს იმიგრაციის ქვეყნის სტატუსს. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ასევე ამ პერიოდში ბრაზილიის მთავრობის მიერ გატარებული იმიგრაციული პოლიტიკაც, რომელმაც საგრძნობლად გაართულა ბრაზილიაში მიგრანტების შემოსვლა. დღევანდელი მონაცემებით ბრაზილიაში დაახლოებით 1.3 მილიონი იმიგრანტი ცხოვრობს. თუკი გასულ საუკუნეებში ძირითადი მიგრაციული ნაკადები ევროპის ქვეყნებიდან და ასევე იაპონიიდან მოემართებოდა, ბოლო პერიოდში ეს სურათი საგრძნობლად შეიცვალა. დღეს უკვე ბრაზილიაში იმიგრანტები ძირითადად მოემართებიან ვენესუელიდან (განსაკუთრებით ვენესუელის კრიზისის შემდეგ), ჰაიტიდან, კოლუმბიიდან, ბოლივიიდან და არგენტინიდან (მათი საკმაოდ დიდი ნაწილი არაკვალიფიციური არალეგალი მიგრანტია).[19] მიგრანტებისთვის ბრაზილიაში ყველაზე პოპულარული დესტინაცია სან-პაულუა. ეს არამხოლოდ ბოლო პერიოდში, არამედ ისტორიულადაც ასეა. აქ ძირითადად მოემართებიან შრომითი მიგრანტები და ლტოლვილები. აღნიშნული ფაქტი გასაკვირი სულაც არაა, რადგან სან-პაულუ არამარტო ბრაზილიის არამედ, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საქალაქო აგლომერაცია და სამრეწველო რაიონია. სწორედ ამიტომ შრომითი მიგრანტებისთვის იგი მუდმივად მიმზიდველი ადგილი იყო, რადგან აქ მათ საკმაოდ რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, რათა სამრეწველო ინდუსტრიაში დასაქმებულიყვნენ. იმიგრანტებისთვის მეორე ყველაზე პოპულარული დესტინაცია რიო-დე-ჟანეიროა, რომელიც წარსულში ბრაზილიის

[19] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

დედაქალაქს წარმოადგენდა.[20] რაც შეეხება ემიგრაციას, როგორც უკვე ვახსენეთ, 1980-იანი წლებიდან, ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, ბრაზილიაში ემიგრაციული ნაკადები კიდევ უფრო გაიზარდა. არადა მანამდე ბრაზილია იმიგრაციის ქვეყნად ითვლებოდა. ბოლო წლებში ბრაზილიელებისთვის ყველაზე პოპულარული დესტინაცია ამერიკის შეერთებული შტატებია. აქ დაახლოებით 1 775 000 ბრაზილიელი ცხოვრობს. შემდეგ მოდის პორტუგალია, პარაგვაი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, იტალია, ესპანეთი, გერმანია, კანადა და არგენტინა.[21]

ნახ.#1



[20] Case Study: Sao Paulo, Brazil. https://migration4development.org/en/case-studies/sao-paulo-brazil

[21] Where are the Brazilians abroad? https://expatriateconsultancy.com/where-are-the-brazilians-abroad/

წყარო: რუკა შედგენილია აღნიშნულ წყაროზე დაყრდობით: ბრაზილიის საიმიგრაციო ისტორია (1870-2020) https://www.youtube.com/watch?v=lWGtA7IyJSg

3. დემოგრაფიული პოლიტიკა და მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება.

ბრაზილიის მოსახლეობის დინამიკა საკმაოდ საინტერესო თავისებურებებით ხასიათდებოდა სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, კოლონიზაციის პერიოდში პორტუგალიელები ყველანაირად უწყობდნენ ხელს მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას. იმ პერიოდში კი დიდწილად ეს იმიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ (1822 წ), შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული სურათი დიდად არ შეცვლილა. ბრაზილიის მთავრობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას საკმაოდ დადებითად უყურებდა და ცდილობა გარკვეულწილად წაეხალისებინა ეს პროცესი (თუნდაც იმიგრაციული პოლიტიკით, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში ხელი შეუწყო საკმაოდ ბევრი ევროპელის მიგრაციას ბრაზილიაშია). აღნიშნული სურათი შეიცვალა 1960-იანი წლებიდან, როდესაც ბრაზილიის მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის საკმაოდ დიდმა მასშტაბებმა გარკვეული შეშფოთება გამოიწვია მთავრობის მხრიდან. თუმცა მიუხედავად ამისა, ეფექტური შემზღუდავი დემოგრაფიული პოლიტიკა მთავრობის მიერ არ გატარებულა.[22] შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიის მთავრობა დღემდე ერიდება უშუალო ზემოქმედებას მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე. მართალია 1970-იანი წლებიდან ბრაზილიაში ნამდვილად გამოიკვეთა შობადობის შემცირების ტენდენცია, თუმცა ეს არ იყო მთავრობის უშუალო ზემოქმედების შედეგი. ანუ, შეიძლება ითქვას,

[22] Family planning and population policy in Brazil. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/12313401/

რომ მათ ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკა ჩამოყალიბებული სახით არ ჰქონიათ, თუმცა გარკვეული ხერხებით მაინც ცდილობდნენ წვლილი შეეტანათ დემოგრაფიული სურათის შეცვლაში. მაგალითად, 1960-იანი წლების შემდგომ თანდათანობით გაიზარდა ხელმისაწვდომობა კონცრაცეპტივებზე. 1996 წელს კი ბრაზილიის კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სტერილიზაცია ნებადართული ხდებოდა (რაც შეეხება აბორტს, იგი ბრაზილიაში დღემდე აკრძალულად ითვლება). [23] აგრეთვე გაიზარდა ქალთა ხელმისაწვდომობა განათლებაზე და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის დონე, რამაც საკმაოდ დიდი გავლენა იქონია შობადობის შემცირებაზე.

ნაშრომის დასაწყისში უკვე განვიხილეთ, თუ როგორი იყო ბრაზილიის მოსახლეობის დინამიკა მე-20 საუკუნიდან დღემდე. თუმცა არანაკლებ საინტერესოა, თუ როგორია აღნიშნული დინამიკის სამომავლო პროგნოზი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით ბრაზილიის მოსახლოების საშუალოწლიური ზრდა 2020 წელს 0.7% იყო. [24] ცხადია, ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია თუკი ბრაზილიის წინა წლებში არსებულ მონაცემებს გავითვალისწინებთ. თუმცა მოსალოდნელია, რომ მომავალში ეს მაჩვენებელი კვლავ განაგრძობს კლებას. თუ გაეროს მონაცემებს დავეყრდნობით მომავალი 20-25 წლისს განმავლობაში ბრაზილიის მოსახლეობა ზრდას კვლავ განაგრძობს, თუმცა საკმაოდ ნელი ტემპით. 2045-2050 წლებში კი, გაეროს პროგნოზით, პირველად მოსახლეობის რაოდენობის საშუალო წლიური მატების კოეფიციენტი უარყოფითი იქნება. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან ექსპერტები

[23] Family planning in Brazil: why not tubal sterilisation during childbirth? https://jme.bmj.com/content/39/11/710#request-permissions

[24] population growth (annual %)- Brazil. https://data.worldbank.org/indicator/SP.POP.GROW?locations=BR

მხოლოდ ბრაზილიის შემთხვევაში ვარაუდობენ 20245 წლიდან მოსახლეობის რაოდენობის კლებას. ყველა სხვა ქვეყანაში, მათი აზრით, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის დინამიკა ამ პერიოდშიც შენარჩუნდება.[25]

ნახ.#2



წყარო: World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery

4. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა

საკმაოდ საინტერესოა ბრაზილიის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მოსახლეობის აღწარმოების დრო-სივრცითი თავისებურებები. პირველ რიგში განვიხილოთ სქესობრივი სტრუქტურა, რომელიც გვიჩვენებს პროპორციას მამაკაცთა და ქალთა შორის. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე საშუალოდ 105 ბიჭი მოდის. ვაჟთა

[25] World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery

სიჭარბე ნარჩუნდება 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლოდ უკვე 25 წლის შემდგომ თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალების რაოდენობა სჭარბობს მამაკაცთა რაოდენობას. [26] ეს საკმაოდ მარტივად შეიძლება აიხსნას, რადგან არამხოლოდ ბრაზილიაში, არამედ მსოფლიოს ქვეყნების საკმაოდ დიდი ნაწილშიც, სწორედ მსგავსი ტენდენციაა. საქმე ისაა, რომ მამაკაცებს, ქალებთან შედარებით, უფრო მაღალი სიკვდილიანობა ახასიათებთ. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც უფრო მეტი ბიჭი იბადება, ვიდრე გოგო, გარკვეული ასაკის შემდეგ ორივე სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა თანაბრდება, ხანდაზმულ ასაკში კი უკვე ქალები სჭარბობენ მამაკაცებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს წესი ვრცელდება მსოფლიოს ყველა მსხვილ რეგიონზე, გარდა აზიისა. ამის მიზეზი ისაა, რომ აღნიშნულ რეგიონში ქალები ბავშვობიდანვე საკმაოდ რთულ სამუშაოებზე არიან დასაქმებულნი, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად ამცირებს მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას.[27] ყველაზე დიდი სხვაობა მამაკაცთა და ქალთა რაოდენობას შორის, როგორც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში, ისე ბრაზილიის შემთხვევაშიც, 65 წლის და უფრო მაღალი ასაკის მქონე მოსახლეობაში აღინიშნება. ამ ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 100 ქალზე 58 მამაკაცი მოდის, რითაც კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ მამაკაცებს ქალებზე უფრო მაღალი სიკვდილიანობა ახასიათებთ. [28]

არანაკლებ საინტერესო ტენდენციები იკვეთება ბრაზილიის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლისას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მოსახლეობის განაწილება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის

[26] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

[27] გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.65

[28] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 15 წლამდე ასაკის მოზარდები ბრაზილიის მოსახლეობის 21.11%-ს შეადგენენ, რაც საკმაოდ დადებითი მაჩვენებელია, რადგან აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის არც ზედმეტად დიდი და არც მცირე წილი მთელი ქვეყნის მოსახლეობაში, რაღა თქმა უნდა, ქვეყნისთვის კარგი არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ბრაზილიას საკმაოდ კარგი მდგომარეობა აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება ბრაზილიაში არსებულ მაჩვენებელს. ცხადია, ეს არის შედეგი, რომელიც ბრაზილიაში შობადობის მაჩვენებლის სწრაფმა ვარდნამ გამოიწვია. რაც შეეხება შრომის ასაკის ჯგუფს (15-64), მისი წილი მთელ მოსახლეობაში 69.67%-ია, რაც ურიგო მაჩვენებელი ნამდვილად არაა. თუმცა საპენსიო ასაკის, ანუ ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფის, ხვედრითი წილით ქვეყნის მოსახლეობაში ბრაზილია დაბერებული ქვეყნების ჯგუფში შედის. თუკი გაეროს დემოგრაფების მიერ შემუშავებულ სკალას დავეყრდობით, მოსახლეობა დაბერებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ 65 წლის და უფროსი ასაკის პირთა წილი 7%-ზე მეტია.[29] ბრაზილიის შემთხვევაში კი აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფი მოსახლეობის 9.21%-ს შეადგენს. ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ შობადობის მაჩვენებლის სწრაფი ტემპით კლებამ ბრაზილიაში მოსახლეობის დაბერების ნიშნები გააჩინა. ეს ტენდენცია მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზეც ნათლად ჩანს. იმ თავისებურებების მიხედვით კი, რომელიც მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას ახასაითებს, ბრაზილია შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე ტიპის ქვეყნების ჯგუფს, რომელშიც შედიან აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, სადაც დაწყებულია შობადობის შემცირება. ამ ჯგუფის ქვეყნების უმრავლესობისთვის დაბალი სიკვდიალიანობაა დამახასიათებელი. ხოლო

[29] წულაძე, მაღლაფერიძე, & სულაბერიძე, 2007 , p. 38 92

უკანასკნელი 20-25 წლის მანძილზე კი შობადობის სწრაფი კლება შეინიშნება. [30]როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრაზილიაშიც სწორედ მსგავსი ტენდენცია იკვეთება.

ნახ.#3



ბრაზილიის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა.

წყარო: The world factbook (2022) Brazil- https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/images/cG9zdDoxODYxNzE=

5. მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

ნებისმიერი ქვეყნის განვითარების დონის დადგენაში ძალიან დიდ როლს თამაშობს მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები. იგი მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული, დემოკრატიული და გეოგრაფიული მახასიათებლების პირობით სისტემას წარმოადგენს. [31] აღნიშნულ რეფერატში მსურს,

[30] გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.71

[31] გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.78

მიმოვიხილო ბრაზილიის მოსახლეობის ის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორებიცაა მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ჩვილთა სიკვდილიანობა, ჯანდაცვის ხარისხი და განათლების დონე.

ბრაზილიის მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა 75.92 წელია. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში ქალები საშუალოდ 7 წლით უფრო მეტ ხანს ცოცხლობენ, კაცებთან შედარებით. ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 79.5 წელია, მამაკაცების შემთხვევაში კი 72.5 წელი.[32] როგორც უკვე ვახსენეთ, ეს არამხოლოდ ბრაზილიაში, არამედ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში საკმაოდ გავრცელებული ტენდენციაა. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ფიზიკურად ქალებზე უფრო ძლიერები არიან, ეს უკანასკნელნი სტრესული სიტუაციებისადმი მეტი მგრადობით გამოირჩევიან. ამის გამო (აგრეთვე მამაკაცთა მხრიდან ალკოჰოლის და თამბაქოს უფრო ხშირი მოხმარების შედეგად) გულ-სისხლძარღვთა დაავადებები უმეტესწილად მამაკაცებს შორის არის გავრცელებული. აგრეთვე ქალებთან შედარებით მამაკაცების ადრეული სიკვდილიანობა გამოწვეულია საწარმოო ტრავმატიზმით, ომებით, კრიმინალური გარემოებებით, საავტომობილო ავარიებით და ა.შ.[33] თუმცა ბრაზილიის შემთხვევაში მამაკაცთა და ქალთა სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის 7 წლიანი სხვაობა არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია. ზოგადად აღნიშნული მაჩვენებელი შემაშფოთებელია მაშინ, როდესაც სხვაობა 10 წელზე მეტია (მაგალითად ის რუსეთში 12 წელს შეადგენს).[34]

---

[32] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

[33] გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.42

[34] გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი, გვ.81

ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობით ბრაზილია მსოფლიოში 112-ე ადგილს იკავებს, რაც არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებელია.[35] ცხადია, განვითარებადი სამყაროს კვალობაზე შეიძლება ეს მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, თუმცა თუკი მას შევადარებთ, მაგალითად, ევროპის განვითარებული ქვეყნების მონაცემებთან, მათ შორის სხვაობა საკმაოდ დიდია. მაგალითად, შვეიცარიაში იგი 83.23 წელს უდრის.[36]

ქვეყნის სამედიცინო მომსახურების და ჯანდაცვის განვითარების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ჩვილთა სიკვდილიანობა. აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენი 1 წლამდე ასაკის ბავშვი გარდაიცვალა ყოველ 1000 დაბადებულზე. ბრაზილიაში იგი 13.31‰-ს შეადგენს, რაც კარგ მაჩვენებლად ნამდვილად არ აღიქმება. ლათინურ ამერიკის ქვეყნებიდან მასზე კარგი მაჩვენებლები საკმაოდ ბევრ ქვეყანას აქვს. მაგალითად, არგენტინას (9.35‰), ურუგვაის (8.31‰), მექსიკას (11.86‰), კოლუმბიას (11.65‰). [37]

ქვეყნის მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების შეფასებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურებაში არსებული მდგომარეობა. ხოლო, თავის მხრივ, ამა თუ იმ ქვეყნის ჯანდაცვის დონის საუკეთესო ინდიკატორი 1 ადამიანის სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯული საშუალო წლიური თანხაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ბრაზილია ყოველწლიურად საშუალოდ 1 ადამიანის სამედიცინო მომსახურებაზე

[35] The World Factbook (2022). Life expectancy at birth: Country Comparison. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/life-expectancy-at-birth/country-comparison

[36] The world Factbook (2022). Switzerland https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/

[37] The world Factbook (2022). Infant mortality rate-country comparisons. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/infant-mortality-rate/country-comparison

780$ ხარჯავს. თუკი აღნიშნულ მონაცემს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მონაცემებთან შევადარებთ, ბრაზილიის მაჩვენებელი არც თუ ისე ცუდია. მასზე მეტს ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ურუგვაი (1 281$), (ჩილე (1 102$) და არგენტინა (998$) ხარჯავენ. თუმცა ძალიან დიდია სხვაობა განვითარებულ სამყაროს შორის. მაგალითად, დანიაში ეს მონაცემი 5 497$-ს აღწევს, რაც დაახლოებით 7-ჯერ მეტია, ვიდრე ბრაზილიის მიერ 1 ადამიანზე ჯანდაცვაზე გაწეული წლიური დანახარჯი.[38]

მოსახლეობის ხარისხის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებიდან კიდევ ერთი ნიშანდობლივი კომპონენტი არის განათლების დონე. ზოგადად, მოსახლეობის განათლების დონის დახასიათებისას რამდენიმე კრიტერიუმი გამოიყენება, მაგრამ მათ შორის ყველაზე გავრცელებული წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის განსაზღვრაა. (გოგსაძე-მოსახლეობის გეოგრაფია). ბრაზილიაში ეს მაჩვენებელი 93.2%-ს უდრის. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიაში 15 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 93.2% ფლობს წერა-კითხვის საბაზო უნარებს. აღსანიშნავია, რომ მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 93%-ს უდრის, ქალებში კი 93.4%-ს. ეს საკმაოდ ნიშანდობლივი მონაცემია, რადგან, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში ქალთა განათლების დონე საგრძნობლად დაბალია ხოლმე, მამაკაცებთან შედარებით. ეს გამოწვეულია საზოგადოებაში მათი უუფლებო მდგომარეობით, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა. სამწუხაროდ, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ქალებს არ აქვთ თუნდაც საბაზისო განათლების მიღების შესაძლებლობა. ეს განსაკუთრებით ხშირი მოვლენაა აზიისა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ერაყში 15 წლისა და მეტი ასაკის მქონე მოსახლოების 91.2%-მა იცის წერა-კითხვა. ქალების შემთხვევაში

[38] : (WHO, 2015) World Health Organization. Total Expenditure on Health Per Capita, 2015. https://www.who.int/

კი იგი 79.9%-ია. . ბრაზილიაში კი იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც წერა-კითხვა იციან, არათუ ჩამორჩება მამაკაცთა პროცენტულ რაოდენობას, არამედ ცოტათი უსწრებს კიდეც. ეს არის კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ბოლო წლებში ბრაზილიაში ქალთა ხელმისაწვდომობა განათლებაზე და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განათლების დონის საერთო მაჩვენებელი (92.2%) ბრაზილიის შემთხვევაში არც ისე მაღალია. მას ამ მხრივ საკმაოდ ბევრი განვითარებადი ქვეყანა უსწრებს წინ. მაგალითად, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ურუგვაიში ეს მაჩვენებელი 98.8%-ს უდრის, არგენტინაში 99%-ს, ჩილეში 96.4%ს, კოლუმბიაში კი 95.6%-ს.[39]

6. მოსახლეობის დასაქმება

საკმაოდ საინტერესოა ბრაზილიის სამუშაო ასაკის მოსახლეობის შეფარდება სამუშაომდელი და საპენსიო ასაკის მოსახლეობასთან, რომელსაც დემოგრაფიული დატვირთვა ეწოდება. ბრაზილიაში ეს მაჩვენებელი 43.5-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი 100 შრომისუნარიანი ადამიანი საშუალოდ 44 მოზარდსა (0-14 ასაკის მოსახლეობა) და ხანდაზმულ ადამიანს (65+ ასაკის მოსახლეობა) არჩენს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ბრაზილიას ცუდი მდგომარეობა არ აქვს, რადგან განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 50-55-ის ტოლია, განვითარებად ქვეყნებში კი ასსაც კი აღწევს. ცხადია, რაც უფრო მეტია აღნიშნული მაჩვენებელი ეს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისთვის მით მეტ ტვირთს წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობის მაღალი დემოგრაფიული დატვირთვა ქვეყანაში სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს წარმოშობს. მაგალითად,

[39] The world factbook (2022) Literacy- https://www.cia.gov/the-world-factbook/field/literacy

ნიგერში ეს მაჩვენებელი 109.5-ია, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან დიდი წნეხია.[40] ბრაზილიას კი, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ კარგი მდგომარეობა აქვს. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 86.621 მილიონს შეადგენს, რაც მთელი მოსახლეობის 40.2%-ია. მათი 9.4% სოფლის მეურნეობაში, 32.1% მრეწველობაში, ხოლო 58.5% მომსახურების სფეროშია დასაქმებული.[41]შეიძლება ითქვას, რომ ამ მაჩვენებლებით ბრაზილია საგრძნობლად განსხვავდება პოსტინდუსტრიული ქვეყნებისგან, სადაც მომსახურების სფეროში მოსახლეობის ბევრად უფრო დიდი ნაწილია ჩაბმული. იმ ქვეყნებში, რომლებიც განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაში იმყოფებიან, მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანები, როგორც წესი, მინიმუმ 70%-ს შეადგენენ. მაგალითად, კანადაში ეს მაჩვენებელი 78.4%-ს უდრის, გაერთიანებულ სამეფოში კი 80.5%-ს.[42] რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, ბრაზილიას ამ მხრივ არც თუ ისე კარგი მაჩვენებელი აქვს. 2019 წლის მონაცემებით ბრაზილიაში დაუსაქმებელ ადამიანთა ხვედრითი წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში 11.93%-ის ტოლი იყო. ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში 164-ე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრაზილია იმ ქვეყნების რიგში იმყოფება, სადაც უმუშევრობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.[43]

7. მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა

[40] The world factbook (2022). Niger. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/niger/#people-and-society

[41] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

[42] The world Factbook (2022). Labor force by occupation. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/labor-force-by-occupation

[43] The world factbook (2022) country comparisons- Unemployment rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/unemployment-rate/country-comparison

ბრაზილიის რასობრივი შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია. თეთრკანიანები მთელი მოსახლეობის 47.7%-ს შეადგენენ, შერეული რასის წარმომადგენლები 43.1%-ს, შავკანიანები 7.6%-ს, აზიელების წილი კი, რომლებიც მონღოლოდიურ რასას მიეკუთვნებიან, 1.1%-ია. რაც შეეხება ე.წ ავტოქთონურ მოსახლეობას (ძირითადად ინდიელები), მათი წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში მხოლოდ 0.4%-ია. თუკი ბრაზილიის ისტორიას გადავხედავთ, მოსახლეობის რასობრივის შემადგენლობის ასეთი სიჭრელე გასაკვირი სულაც არაა. ეს არის შედეგი იმ იმიგრაციული ნაკადებისა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მოემართებოდა ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის (ინდიელების) ძალიან მიზერულ წილს ქვეყნის მოსახლეობაში, ეს რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. ევროპელების ძალადობრივმა ქმედებებმა, ევროპიდან ჩამოტანილმა ეპიდემიებმა (განსაკუთრებით ყვავილის დაავადებამ, რომლის მიმართაც ინდიელების იმუნური სისტემა ძალიან მოწყვლადი იყო), გაუთავებელმა ომებმა და სხვა ფაქტორებმა მათი საკმაოდ დიდი ნაწილი შეიწირა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის არც თუ ისე მცირე რაოდენობა იმიგრირებულ ევროპელებს შეერია, რის შედეგადაც შერეული რასა ჩამოყალიბდა.[44]'

ნახ.#4

[44] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/



წყარო: The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

8. მოსახლეობის ეთნოლინგვისტური სტრუქტურა

საინტერესო თავისებურებებით ხასიათდება ბრაზილიის ეთნოლინგვისტური სტრუქტურაც. როგორც უკვე არაერთხელ ვახსენეთ, ბრაზილია საუკუნეების განმავლობაში პორტუგალიის კოლონია იყო. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ბრაზილიელთა ენას, რელიგიას და, ზოგადად, კულტურას დღემდე ეტყობა პორტუგალიელების გავლენა. ბრაზილიის სახელმწიფო ენაც სწორედ პორტუგალიურია, რომელიც ინდოევროპული ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფში შედის. (გოგსაძე-მოსახლეობის გეოგრაფია). იგი ბრაზილიის მოსახლეობის 97.9%-ისთვის მთავარი სალაპარაკო ენაა. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილია ერთეროვანი სახელმწიფოა. სხვა ენებიდან ასევე აღსანიშნავია გერმანული (იგი შედის ინდოევროპული ენათა ოჯახის გერმანული ენის ჯგუფში), რომელზეც მოსახლეობის 1.9% საუბრობს. საინტერესოა, რომ გერმანულენოვანი მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა ბრაზილიაში 1940-იან წლებში ცხოვრობდა, როდესაც

საგრძნობლად გაიზარდა იმიგრაციული ნაკადები გერმანიიდან.[45] სწორედ ამის შედეგია, რომ დღემდე პორტუგალიაში გერმანული მეორე ყველაზე გავრცელებული მშობლიური ენაა. ისინი ძირითადად დასახლებულნი არიან რიო გრანდეს, პარანას და სან პაულუს შტატებში. ასევე მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს რიო დე ჟანეიროშიც. თუმცა განსაკუთრებით აღსანიშნავი მაინც სანტა კატარინას შტატია, სადაც ყველაზე მრავლადაა გერმანული დასახლებები. შტატის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი პომეროდი „ბრაზილიის ყველაზე გერმანულ ქალაქად" მიიჩნევა, რადგან მოსახლეობის თითქმის 90% წარმოშობით გერმანელია.[46] რაც შეეხება ადგილობრივ ენებს, რომელთა რიცხვი საკმაოდ ბევრია, მათზე მხოლოდ ის ინდიელები საუბრობენ, რომლებიც ბრაზილიაში ძალიან მწირი რაოდენობით შემორჩნენ. აღნიშნულ ენებზე მოსაუბრე ადამიანები მოსახლეობის მხოლოდ 0.2%-ს შეადგენენ. ისინი ძირითადად ბრაზილიის ჩრილო-დასავლეთ ნაწილში არიან დასახლებულნი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია ამაზონასის შტატი, რომლის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის (სან-გაბრიელ-დე-კაშუეირა) მოსახლეობის 90%-ს სწორედ ინდიელები შეადგენენ.[47] რაც შეეხება ინგლისურ ენას (მიეკუთვნება ინდოევროპული ენათა ოჯახის გერმანული ენის ჯგუფს) იგი მეორე ენაა ბრაზილიის მოსახლეობის დაახლოებით 5%-ისთვის, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ხოლო ესპანურად (შედის ინდოევროპული ენათა ოჯახის რომანულ ჯგუფში) მოსახლეობის მხოლოდ

[45] What Languages Are Spoken In Brazil? https://www.worldatlas.com/articles/what-languages-are-spoken-in-brazil.html

[46] The role of international migration on the evolution of the Brazilian Population. https://www.scielo.br/j/rsp/a/gSZkx3b5kCrf8TkWjGRxmfx/?lang=pt

[47] In Brazil's most indigenous city, prejudice and diversity go hand in hand. https://news.mongabay.com/2021/06/in-brazils-most-indigenous-city-prejudice-and-diversity-go-hand-in-hand/

4%-ს შეუძლია საუბარი (აღსანიშნავია, რომ რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში ესპანური ენის სწავლა სკოლებში სავალდებულოდ ითვლება). [48]



ნახ.#5

ინდიელების (ბრაზილიის ავტოქთონური მოსახლეობის) განსახლების არეალი ბრაზილიის ტერიტორიაზე.

[48] The languages of brazil. https://blog.lingoda.com/en/what-languages-are-spoken-in-brazil/#:~:text=Is%20English%20spoken%20in%20Brazil,a%20total%20of%20208%20million).

წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Indigenous_peoples_in_Brazil#/media/File:Indigenous_brazil.jpg

9. მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურა

ბრაზილიის მოსახლეობის რელიგიური სტრუქტურიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მონოკონფესიურ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. მისი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანობის მიმდევარია, რაც, ისევ და ისევ, პორტუგალიური კოლონიალიზმის გავლენაა. როგორც პორტუგალიაში, ისე ბრაზილიაში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კათოლიკეა. ისინი მოსახლეობის 64.6%-ს შეადგენენ, პროტესტანტები 22.2%-ს, ხოლო ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობების წარმომადგენლები 0.7%-ს. ბრაზილიაში აგრეთვე გავრცელებულია სპირიტუალიზმიც, რომლის მიმიდევრების წილიც მთელ მოსახლეობაში 2.2%-ია. რაც შეეხება ყველა სხვა დანარჩენი რელიგიის მიმდევრებს, ისინი მხოლოდ მოსახლეობის 1.4%-ს შეადგენენ. ხოლო დანარჩენი ნაწილი კი (8.4%) არც ერთ რელიგიასთან არ აკავშირებს საკუთარ თავს. [49]

10. ურბანიზაცია, განსახლება და მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება

საკმაოდ საინტერესო თავისებურებებით ხასიათდება ბრაზილიის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებაც. ზოგადად, მოსახლეობის განლაგებაზე ბევრი ფაქტორი

[49] The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

მოქმედებს, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფად: ბუნებრივ და ადამიანურ, ანუ ანთროპოგენულ ფაქტორებად. პირველ მათგანს მიეკუთვნება ტემპერატურა, ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან, რელიეფის თავისებურებანი და სხვა. ანთროპოგენულ ფაქტორად კი შეიძლება მივიჩნიოთ ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები. სწორედ აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ გარკვეულ ტერიტორიაზე მოსახლეობის მაღალ, საშუალო ან დაბალ სიმჭიდროვეს. აქედან გამომდინარე, როდესაც ბრაზილიის მოსახლეობის ტერიტორიულ განლაგებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ის ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორები, რომლებიც დღემდე ახდენენ გავლენას მოსახლეობის განსახლებაზე. [50]

ბრაზილიის ტერიტორიაზე გამოყოფენ ორ მსხვილ ბუნებრივ ოლქს: ამაზონის დაბლობს, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს და ბრაზილიის მთიანეთს, რომელიც ტერიტორიის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებს იკავებს. ამაზონის ტროპიკული ტყეები, მთიანეთის შიგა რაიონები და სავანები (რომელსაც ბრაზილიაში კამპოსს უწოდებენ) ძალზე მეჩხრადაა დასახლებული. ეს განსაკუთრებით ითქმის ამაზონის ტროპიკულ ტყეებზე, რომელიც ბრაზილიის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ს იკავებს.[51] თუკი ბრაზილიის მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკას შევხედავთ, ეს ტერიტორია, მართლაც, ძალიან მეჩხრადაა დასახლებული, რადგან მისი საკმაოდ დიდი ნაწილი აუთვისებელია. ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, სადაც ყველაზე

[50] სალუქვაძე.ი (2016) საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები, თბილისი. გვ:59

[51] Amazon rainforest region, South America. https://www.britannica.com/place/Amazon-Rainforest

ხელსაყრელი პირობებია ადამიანთა განსახლებისთვის.[52] ზოგადად, ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ზოლთან ახლოს ცხოვრება მსოფლიო მოსახლეობაში საკმაოდ გავრცელებული ტენდენციაა. ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ზოლიდან არაუმეტეს 200 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს (საზ.გეო). მსგავსი ტენდენცია იკვეთება ბრაზილიის შემთხვევაშიც. მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ ატლანტის ოკეანის სანაპიროს სიახლოვესაა განსახლებული (ბრაზილიის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 1/10-ზე). რაც შეეხება უშუალოდ მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელს, იგი 25 ადამიანს შეადგენს 1 კვ.კმ-ზე.[53] ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია (მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბრაზილია მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობით ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქვეყანაა), რაც განპირობებულია იმ აშკარა უთანაბრობით, რაც ბრაზილიის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისთვისაა დამახასიათებელი. საკმარისია ითქვას, რომ ქვეყნის დასავლეთის და ჩრდილოეთის შვიდ შტატში (ამაზონასი, პარა, აკრი,ამაპა, მატუ-გროსუ, რონდონია, რორაიმა), რომლებიც ბრაზილიის ფართობის ნახევარზე მეტს მოიცავს, ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 5%.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის მილიონიანი ქალაქების უმეტესობაც ატლანტის ოკეანის სანაპიროზეა განლაგებული. მაგალითად, ბრაზილიის 5 ყველაზე დიდი ქალაქიდან (მოსახლეობის რაოდენობით) 4 სწორედ ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს (სან-პაულუ, რიო-დე-ჟანეირო, სალვადორი, ფორტალეზა). თითოეული

[52] Brazil, History, Map, Culture,Population & Facts. https://www.britannica.com/place/Brazil

[53] Population of Brazil (2020 and historical) https://www.worldometers.info/world-population/brazil-population/#:~:text=The%20population%20density%20in%20Brazil,66%20people%20per%20mi2).&text=The%20median%20age%20in%20Brazil%20is%2033.5%20years.

მათგანის მოსახლეობა 2 მილიონზე მეტია. [54]მათ შორის უნდა გამოირჩეს სან-პაულუ, რომელიც არამხოლოდ ბრაზილიის უმსხვილესი ქალაქი, არამედ სამხრეთ ნახევარსფეროს უდიდესი და მსოფლიოს სიდიდით მე-4 ქალაქია. მისი მოსახლეობის რაოდენობა 21,846,507 ადამიანს შეადგენს (აღნიშნული მონაცემი ითვალისწინებს მთლიანად ქალაქის ურბანულ არეალს/სივრცეს, ხოლო უშუალოდ ქალაქის მოსახლეობა კი 12,400,232 ადამიანს შეადგენს). თამამად შეიძლება ითქვას, რომ სან-პაულუ მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საფინანსო და ინდუსტრიული ცენტრია. მას ძლიერი საერთაშორისო გავლენა გააჩნია და ალფა რანგის მსოფლიო ქალაქადაა აღიარებული. აღსანიშნავია, რომ იგი უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქალაქია (მშპ-ს მიხედვით) როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე მთელ სამხრეთ ნახევარსფეროში.[55]

რაც შეეხება ურბანიზაციის დონეს, ამ მხრივ ბრაზილიას საკმაოდ მაღალი მაჩვენებლი აქვს. მისი ურბანიზაციის დონე 87.6%-ს შეადგენს, რითაც იგი მაღალურბანიზებული ქვეყნების რიცხვში შედის. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ნამდვილად შთამბეჭდავია მისი ტერიტორიული სიდიდიდან გამომდინარე. თუკი შევხედავთ განვითარებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ახლოს დგანან ბრაზილიასთან ტერიტორიის ფართობის მიხედვით, ბრაზილია მათ არათუ ჩამორჩება ამ მაჩვენებლით, არამედ ბევრ მათგანს უსწრებს კიდეც (ცხადია, ამ მაჩვენებლის მიხედვით ბრაზილიის შედარება ფართობით მასზე ბევრად უფრო პატარა სახელმწიფოებთან, სადაც ურბანიზაციის მაჩვენებელი 95%-ზე მეტი და რიგ შემთხვევებში 100%-იც კია, არც თუ ისე ლოგიკური იქნება). მაგალითად, ასევე

[54] https://ftp.ibge.gov.br/Estimativas_de_Populacao/Estimativas_2021/estimativa_dou_2021.pdf

[55] Sao Paulo, History, Population & facts. https://www.britannica.com/place/Sao-Paulo-Brazil

მაღალურბანიზებული ამერიკის შეერთებული შტატების ურბანიზაციის დონე 83.1%, ხოლო კანადის - 81.8%-ია. [56]სწორედ აქ ვლინდება ის ანთროპოგენული ფაქტორები, რომლებიც მოსახლეობის არათანაბარ განლაგებას განაპირობებს. ბრაზილიის მოსახლეობა მიილტვის იქ, სადაც არის შედარებით უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ეს განსაკუთრებით ეხება მსხვილ ქალაქებს, სადაც, მარტივად რომ ვთქვათ, მოსახლეობა უკეთესი ცხოვრების იმედს ხედავს. ხოლო, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი ქალაქების უმრავლესობა სწორედ აღმოსავლეთ ბრაზილიაშია განლაგებული. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ ბრაზილიაში მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე და ურბანიზაციის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დიდწილად იმ მილიონიანი ქალაქების დამსახურებაა, რომლებიც ატლანტის ოკეანის სანაპიროზეა განლაგებული.

ნახ.#6

[56] The world factbook (2022) Field Listing-Urbanization. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/urbanization/

ბრაზილიის მოსახლეობის სიმჭიდროვის რუკა



წყარო: რუკა შედგენილია აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით: Brazilian states by population https://www.worldatlas.com/articles/brazilian-states-by-population.html

გამოყენებული ლიტერატურა

გოგსაძე გ. (2018). მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). საარი: თბილისი.

სალუქვაძე.ი (2016) საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები, თბილისი.

World economic situation prospects (2020). United Nations. https://www.un.org/development/desa/dpad/wp-content/uploads/sites/45/WESP2020_Annex.pdf

World Bank Country and Lending Groups. https://datahelpdesk.worldbank.org/knowledgebase/articles/906519-world-bank-country-and-lending-groups

The world factbook (2022). Country comparison-population. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/population/country-comparison

South America Population (2022). https://www.worldometers.info/world-population/south-america-population/#:~:text=The%20current%20population%20of%20South,among%20subregions%20ranked%20by%20Population.

Population growth in Brazil. https://www.worlddata.info/america/brazil/populationgrowth.php#:~:text=From%201960%20to%202020%20the,increase%20in%202020%20with%200.72%25.

Population and economic development in Latin America. https://www.jstor.org/stable/45132160?read-now=1&seq=6%22seq=6

World Population Prospects 2019. United Nations. Population Division of The Department of Economic and Social Affairs. https://population.un.org/wpp/DataQuery/

Characterization of Fertility Levels in Brazil, 1970–2010. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/working_papers/WR1000/WR1091/RAND_WR1091.pdf?fbclid=IwAR1VeF6w5nH2Y7anymV4zdcOIU582qmr6ZFJOF6zgKMzQQc_CmErIVm-X7I

Family planning in Brazil: why not tubal sterilisation during child birth? https://jme.bmj.com/content/39/11/710#request-permissions

The World Factbook (2022). Brazil. https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/brazil/

Reported Cases and Deaths by Country or Territory. https://www.worldometers.info/coronavirus/

The Phylogeography of Brazilian Y-Chromosome Lineages. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1234928/

Population of Brazil (2020 and historical) https://www.worldometers.info/world-population/brazil-population/#:~:text=The%20population%20density%20in%20Brazil,66%20people%20per%20mi2).&text=The%20median%20age%20in%20Brazil%20is%2033.5%20years.

https://ftp.ibge.gov.br/Estimativas_de_Populacao/Estimativas_2021/estimativa_dou_2021.pdf

Amazon rainforest region, South America. https://www.britannica.com/place/Amazon-Rainforest

Brazil, History, Map, Culture,Population & Facts. https://www.britannica.com/place/Brazil

The World Factbook (2022). Life expectancy at birth: Country Comparison. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/life-expectancy-at-birth/country-comparison

The world Factbook (2022). Switzerland https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/switzerland/

The world Factbook (2022). Infant mortality rate-country comparisons. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/infant-mortality-rate/country-comparison

In Brazil's most indigenous city, prejudice and diversity go hand in hand. https://news.mongabay.com/2021/06/in-brazils-most-indigenous-city-prejudice-and-diversity-go-hand-in-hand/

The languages of brazil. https://blog.lingoda.com/en/what-languages-are-spoken-in-brazil/#:~:text=Is%20English%20spoken%20in%20Brazil,a%20total%20of%20208%20million).

The world Factbook (2022). Labor force by occupation. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/labor-force-by-occupation

The world factbook (2022) country comparisons- Unemployment rate. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/unemployment-rate/country-comparison

WHO, 2015) World Health Organization. Total Expenditure on Health Per Capita, 2015. https://www.who.int/

What Languages Are Spoken In Brazil? https://www.worldatlas.com/articles/what-languages-are-spoken-in-brazil.html

The role of international migration on the evolution of the Brazilian Population. https://www.scielo.br/j/rsp/a/gSZkx3b5kCrf8TkWjGRxmfx/?lang=pt

Sao Paulo, History, Population & facts. https://www.britannica.com/place/Sao-Paulo-Brazil

The world factbook (2022) Field Listing-Urbanization. https://www.cia.gov/the-world-factbook/field/urbanization/

Brazilian states by population https://www.worldatlas.com/articles/brazilian-states-by-population.html